ფასი ყველგან 10 კაპ.

,,ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲛᲝᲠᲘᲡᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ,

№ 1 კვირა, 15 ივლისი, 1907 წ. № 1

კარიკატურებიანი, იუმორისტიული, გაზეთი ,,ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ'' ...ადის ყოველ კვირა დღეს. ფასი წლიურათ—5 მან., ნახევარი ...ით—3 მან., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი ყველგან ...კ. ადრესი: თფილისი, ამხანაგობა ,,ᲨᲠᲝᲛᲘᲡ'' სტამბა. Тип... ...ъ, Типографія Т-ва „Трудъ". Мих. № 65.

ფასი განცხადებისა პირველ გვერდზე პეტიტით 30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 20 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება სამშაბათს, პარასკევს და შაბათს დილის 10 საათიდან 12 საათ. და საღამოს 5 საათიდან 7-მდე. ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ინახავს. წერილები გარკვევით და ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი.



ДК ВКП (б)

„ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲘᲡ" ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲜᲘ.

...ᲚᲝᲙᲐᲣᲢᲘ—ᲑᲝᲚᲘᲙᲝᲢᲘ.

...კახური ღვინის ჰირიმე
ყველს რომ ჩაფერავს წითლათა!
ჩვე ხომ შაურათ გვიჯდება,
სხვეს ვაძლევთ მამასისხლათა.

...კახეთის მეპმულებმა
...ირობა შეკრე მაგარი:
...ომ აწარმოვ საერთოთ
...ᲛᲣᲚᲘᲡ აჭარი.
...ამა ᲮᲘᲖᲜᲘᲡᲐ...ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ
...ᲐᲠᲓᲐᲤᲘ მოხსნ დიადი:
...ᲙᲘᲕᲘ ᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ,
...ᲣᲡᲘᲜᲐᲗᲚᲝ და ᲩᲣᲥᲓᲘᲐᲓᲘ.

დაიქირავეს მუშებიც
ორმოციოდე ხელია.
(სარდაფის მძიმე ჰაერი
ბატონებისთვის ძნელია!)
გაჩაღდა საქმე... მუშები
რადგან ტყავიდან ძვრებოდენ;
„მშრომელნი" თავადიშვილნი
...ᲝᲓᲜᲐᲕᲐᲠ ᲒᲐᲘᲜᲫᲠᲔᲝᲓᲔᲜ.
...ᲘᲛᲐᲢᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲛᲐ...
ᲡᲐᲓᲘᲚᲔᲑᲡ ᲧᲐᲜᲬᲘ ᲔᲬᲘᲐ,
მაგრამ ბოლო დროს „კახეთსაც"
შაი...ᲓᲔ ᲬᲐᲛᲝᲔᲬᲘᲐ.
გამ...ᲪᲕᲐᲚᲐ დროება
და ,,კაᲐᲔᲗᲘᲘᲡ'' ღვინოსა

ᲪᲣᲓᲘ ᲓᲐᲣᲓᲒᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ,
ძველებრ...ᲒᲐᲠ მოილხინ...
ᲛᲣᲨᲔᲑᲛᲐ ᲛᲔ...ᲘᲗᲮᲝᲕ...
ᲮᲔᲚᲗᲐᲮᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛ...
და მოისმინეს პასუხ...
თავადიშვილთა წყრ...
განრისხდენ ბატონი...
ამა ამბისა თხრობით...
(ძველათ კი თავი ...
მუშებთან ,,მეგობრ...
იმსჯელეს მამაპაპუ...
გადაჭრით, არა გრძელ...
და „ᲚᲝᲙᲐᲣᲢᲘ" ᲮᲡᲐᲚᲔᲗ!
გამოაგორეს ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲘᲡ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲘᲡᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გარეკეს ძველნი მსახურნი
სულყველა ხელეპირათა,
მით თავი აუტკივარი
გადაიქციეს ჭირათა.
მუშათა ნაცვლად თავადებს
ნორჩნი და ფრიად წვრილები
ჩამოულალავთ კახეთით
მოჯარდი ვაჟიშვილები.
შერეკეს ბნელსა სარდაფში
ეს წვრილი „მუშა ხელია“...
(სურათი უფრო სამასხრო
ძნიადი სანახველია!!!)
ზოგი ბოჭკის ქვეშ ვარდება
და ფეხსა იღრძობს ავათა,
ზოგი ბოთლს დასწაფებია
„ნუნუას“ ჩასანთქავათა.
ზოგი ეზოში გორაობს
ღვინისგან განაწყინები,
დამტვრეულ „ბუთლიკებისა“
ფეხსა უსერავს მინები.
ზოგიც ბოთლს რეცხავს თითებით
და განუჭვრეტავს შუშებსა
ღმერთს ვფიცავ: არსად შეეყრივარ
მე ამგვარ პადვლის „მუშებსა“.
საიდგან იყო, არ იყო
გაჩნდა მუნ ყვავი-ყვანჩალა,
და „მუშა“ გიმნაზისტებსა
ცელქობა აღარ აცალა.
მაღლიდან მკვახეთ დასჩხავლა
სამგლოვიარო გალობა
და დაფრთხენ თავადიშვილ ნი
მოგეცეთ ღვთისა წყალობა.
მოესმათ: „ბოიკოტიო“
და ჩაჭინდრავდენ თავებსა...
(ყვავის ჩხავილი მართლაც რომ
კარგს არას მოასწავებსა).

ᲔᲨᲛᲐᲙᲘ.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ!!

—

საზო[illegible]ით დღევანდელ პირობებში ბე-
[illegible] იშვიათად შეხვდება კა-
[illegible]ისთანა ბედნიერი ქა-
[illegible] მეორე იყოს მთელ
[illegible]ჯერ ერთი, რომ
[illegible]ლოდ მარტო თფი-
[illegible]ვისუფლება. ყველა
[illegible]ებს. მეორე—უპირ-
[illegible]ციცეთ დაცულია პი-
[illegible]ებლობა, ისე დაცუ-
[illegible]რომ დაგეძინება, აღარ
[illegible]ლოგინში შეხვდები თუ
[illegible]ში თუ უჩასტკაში.
[illegible] და კბილების და-
[illegible]ოთასა. ბედნიერია
[illegible]

რედაქციისაგან.

„ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘᲡ“ მაგიერ დროებით გამოდის „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ“. როცა დრო მოვა,

ჟურნალი „ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘ“

ყოველ კვირა დღეს გამოვა, უკეთუ „სხვა და სხვა მიზ[illegible]ზებმა“ ხელი არ შეუშალა და უდროოთ არ გარდაიცვალა.

ჟ[illegible]ნალის მიზანია დარაჯათ უდგეს თანამედროვე ცხოვრებას და აღნიშნოს ყ[illegible]ველივე საყურადღებო ფაქტი. „შურდული“ სამასხარო ჟურნალი არ არის. [illegible]ეცდება სერიოზულათ შეეხოს თანამედროვე საკითხებს და ისეთი კილოთი სწეროს [illegible] რომ მტერს „შურდულივით“ მოხვდეს გულში და მოყვარეს სიამოვნების ღიმილ[illegible] მოგვაროს.

ჟურნალში უმთავრესი ალაგი დაეთმობა პროვინციის ამბებს. მოგვაწოდონ პრო[illegible]ვინციელმა ამხანაგებმა წერილები და სურათები. რედაქცია სიამოვნებით მოათავსებს ყველა საყურადღებო წერილს. წერილები მოკლე და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

იმ წერილებში და ლექსებში, რომლებსაც რედაქცია მოიწონებს, ავტორს 3—კაპეიკამდე **ᲰᲝᲜᲝᲠᲐᲠᲘ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ.**

ყველას მზრუნველობით ეკიდებიან, ყველასთვის ზრუნავენ. ესთქვათ დილა ლოგინში გაგითენდა, ქუჩაშიც მშვიდობიანათ გამობრძანდი, საუბედუროთ ფულები არა გაქვთ, მარა ეს არაფერი უბედურობაა. ასეთ გაჭირვების დროსაც არ ივიწყებენ თფილისელებს, გაივლი რამდენიმე ნაბიჯს, ნახავენ შენ ფულის ქისას და თუ არაფერი გაქ შიგ ან ფულებს ჩაგიყრიან შიგ და ან ცოტა კისრის მასაჟს გაგიკეთებენ; თუ ფულები გაქვს და მით უკეთესი, მართალია „დეროორისტებს“ უნდა გაუნაწილო, თავი შეიწუხო და ქვის ქვეშ ამოდო, მარა ეგ არაფერი. ბედნიერია თფილისი! მით, რომ მას ასე კაი მამები ყავს. ეს მამები ყველაზე მეტათ ზრუნავენ თფილისელებისათვის. მართალია წვრილ ვაჭრებს ცოტათი აწყენინეს და იფრინეს, მაგრამ წვილი ვაჭრები რის წვრილი ვაჭრებია, თუ არ აწყენინეს. მსხვილი სხვა საქმეა. მსხვილი უფრო მაგარი „ბარჯგია“, წვრილი კი ჩქარა წაიქცევა. აწყენინეს მარა ეგ არაფერი. საბ[illegible] მაგიეროთ ინტელიგენტ უმუშევრებს ფრიად ზრდილობიანათ უთხრეს უარი სამუშაოზე და ყველას მაგიერ თორმეტი კაცი მიიღეს. ეგ არაფერი! მაშ რა უნდა ექნათ? ხუმრობა საქმეა 300 კაცის მზერა? „დუშკები“ რომ იყვეს სხვა საქმეა. განა კეკლუც არსების მზერა და ვიღაც წვერ-ულვაშ გაბურძგვნულ კაცის ერთია? თუ არ გჯერათ აბა შებრძანდით როდისმე ქალაქის სამმართველოში და თქვენი მშვენიერი თვალებით იხილავთ ყოველ კუთხეში, როგორ ხალისით და გაბრწყინებული სახით ეკურკურებიან კეკლუც არსებათ. ჰო და საქმეც ეს არის. ამიტომ ქალაქის მამები სრულიად სამართლიანად [illegible]

[illegible] ბედნიერია. თფილისი! [illegible]

[illegible] რომ ბედნიერია. მართალია ამ ბოლო ხანს გაზეთების ჭირი გაჩნდა, მაგრამ ეგ არაფერი. ბედნიერია თფილისი! მით, რომ თფილისის ქუჩებზე ხშირათ ტრამვაის ვაგონების დოღი იმართება. ვატმანები ისე ეჯიბრებიან ერთმანეთს და ისეთ მარულას ათამაშებენ ვაგონებს, რომ რომელი კავსაძე და უტოჩკინი შეედრება. მართალია მარულის დროს კონდუქტორი ილესება, მარა ორი-სამი კონდუქტორის გალესვა აბა რა სათქმელია. ბედნიერია თფილისი! თფილისს სამაგალითო საყაბოები აქვს. ყოველ დღე აუარებელი საქონელი იხოცება მშვიდათ, წყნარათ. მარა საქონლის დამხოცველებს რაღაც ეშმაკი და ქაჯი შეჯდომიათ და ლამის საქონლების მაგიერ ერთმანეთი დახოცონ. ერთი მხრით შავრაზმელთა ბრბო „აღას“ მეთაურობით და მეორე მხრით კალისტრა[illegible] ალიბეგები და სხ. ვართანოვის მეთაურობ[illegible] სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არი[illegible] ბრძოლა იმდენათ გამწვავებულია, [illegible] დასაკლავ პირუტყვებსაც კი მიუქცევ[illegible] ყურადღება. ამას წინათ ერთი ზანტი [illegible] მეჩი ისე გაბრაზებულა „აღას“ საზიზღ[illegible]რი საქციელით, რომ [illegible] და გამოსდევნებია. [illegible] „აღა“ კანტორაში შევ[illegible] (აღ[illegible]ბათ ეგონა კამეჩი იქ ველარ [illegible] შესვლას). ბრაზმორეული კამეჩი შეეარდ[illegible]ნილა კანტორაში, გაუდია [illegible] „აღა“ და საჩოხე შალიერ[illegible] დროზე მ[illegible]შველებიათ [illegible] „აღას“ [illegible] დილს კამეჩის სიკვ[illegible] [illegible] და მოუკლავთ. „აღ[illegible] „მარტ[illegible] [illegible] [illegible] [

,,ალას‘‘ ხარჯზე ხომ არ გამართავდენ??) სადილი დიდებული ყოფილა. უკურთხე-ბიათ საქონლის ეზო. სადილს შემდეგ ბევრი ნასუფრი დარჩენილა. „ალას“ მო-ურეკია ვირები, აუკიდნია ყველაფერი და მღვდლის მაგიერ თვითონ წაუღია სა-კურთხათ სახლში. მუშებს უთქვამთ ჩვენ დაგვიტოვე, ჩვენ ვჭამთო. ალას უპასუხია მე დიდი მუცელი მაქვსო, მარტო თივა და ნახშირი არ მეყოფაო. „ალა“ მართა-ლი ყოფილა. „ალა“ რომ მღვდელი ყო-ფილიყო და საკურთხობა არ გადავარდ-ნილიყო, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ბედნიერია, ბედნიერი თფილისი! მარა დანარჩენ ბედნიერებაზე შემდეგ.

ირეთელი.

წერილი ჯოჯოხეთიდან.

—

ძმაო ვასილ წერილს მოგწერ,
მოგიკითხავ სიყვარულით,
ნამეტანი მომენატრე
და მოგელი სულით, გულით.

—

ნუ თუ დარჩა კიდევ რამე
მაგ დასაქცევ ოზურგეთში?
მოათავე ბარემ მალე
და წამოდი ჯოჯოხეთში.

—

აფთიაქი წამოიღე,
აქაც კარგია ვაჭრობა;
თუ ფერშალი ხელს შეგიშლის
მე მკითხე მისი დახრჩობა.

—

მორიდებით მომიკითხე
ნაცნობები სულ საერთოთ,
ზოგიც თან წამოიყვანე
დრო ვატაროთ და გავერთოთ.

—

დამიკოცნე სიყვარულით
ჯოჯოხეთის მთელი ძალა,
დაწყებული დიმიტრიდან
ვიდრე პაწა მაჩანჩალა.

—

დავით მღვდელი, ტყავის მხდელი
მისი გველის წიწილითა,
(ეტყობა რომ მომავალი
ეგებება სიცილითა).

—

ვანო ჯაყელს მოახსენე,
თუმც დიდია მისი ღვაწლი,
ცოტა კიდევ იმუშაოს
მე ტარტაროზს დამდვას ხათრი.

—

ივლიანეს კი უთხარი,
მორჩეს ბარემ რასაც შობა,
ან ერთი ქნას, ან მეორე,
სირცხვილია ორჭოფობა.

—

კოწიე და ნიკოკიე
მენატრება ერთი ორად,
ერთი ადიუტანტათ მინდა
მეორე კი—ორატორათ.

—

ვაჭრები არ დამივიწყო
მუცელ-დიდა, ტვინით თხელი,
ვინაც თავის ერთგულებით
მოგვიმართა იმ დროს ხელი.

—

ჯერ-ჯერობით კი ნახვამდის
(არც ეს არის ვგონებ შორსა)
იმუშავეთ, არ შეშინდეთ,
ნუ უყურებთ ქვეყნის ჭორსა.

თქვენი ტარტაროზი.

სიტყვა

თქმული ილია ჭავჭავაძისა მიერ ს. გუ-რამიანთ-კარში ეკზეკუციის მონიჭების დროს.

(მიბაძვა სიტყვისა წინამძღვარიანთ-კარში თქმუ-ლისა)

„ხალხნო და ჯამაათნო! ნათქვამია: ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ „ჩვენს“ მამულში დაიბღერტაო. შეხედეთ ამ ამწვანებულ ჯეჯილს, ამ ნორჩ ტყეს, ამ მო-ჩუხჩუხე არაგვს! ხალხნო და ჯამაათნო! ღმერ-თმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედა-მიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი სიმდიდრე ჩასდვა, ეს არე-მარე მე მომიზომა და მითხრა: „ილი-კო ჩემო! იშრომე, გაისარჯე, დედამიწას გუ-ლი გაუპე, იქიდან სიმდიდრე ამოიღე და ისარ-გებლეო“. ეს ნაჭერი, საყვარელნო ძმანო ჩემ-ნო, გახლავთ საგურამო, დაწყებული წინამუ-რიდან ვიდრე ჯიდაურამდე, ხოლო ზედაძენი-დან ვიდრე არაგვის ატეხილ ჭალებამდე.

„თუ ოდეს გლეხთა მასზე მოსახლეთა“ განაგრძო უფალმა „არა ისურვონ შრომა ბა-ტონისა თვისისათვის, არა გარდაუხსნან პირი დედასა-მიწასა და ამოღებულისა სიმდიდრისა სამი მეოთხედი არა მიუზღონ ბატონსა თვის-სა, მაშინ (ბრძანებს უფალი) მოვლინებულ იქ-ნან სოფლად სტრაჟნი და კაზაკნი, რათა ხმლითა და მათრახითა გარდაუხსნან ყმათა მათ ქალა თავისა და ამოიღონ მუ[..]ო ტვინი თავსა მას შიგან მდებარე“.

ხალხნო და ჯამაათნო! წმინდა არს ნება უფლისა და შეურყეველ არს „ქვაკუთხედი“ კერძო საკუთრებისა. მონიჭებული ღვთისა მიერ არა წაირთმევის ძალითა, რამეთუ მო-ქმედი მახვილითა, მახვილითავე მოკვდების. თუ ოდენ ქრისტე ღმერთმა კალთა თავისი უხვებისა აქ ამ ჩვენს მამულში დაიბღერტა, ეგე არს თქვენც, ძმანო ჩემნო, ჯიბენი თქვენ[ნი] სისაწყლისა ჩემს კალთაში ჩაიბღერტოთ ვიდ[რე] უკანასკნელსა გროშამდე.

ხალხნო და ჯამაათნო! თვით უფალმა ღმერ[თ]მა აკურთხა „ქვა-კუთხედი“ კერძო საკუთ[რე]ბისა და ჯერეთ გამოუქვეყნებელ მეოთ[ხე]ტე მცნებაში (რომელიც არს გაგრძელ[ებ]ათისა) დადად ჰყოფ: „არა გული გი[...] მიწისათვის ბატონისა შენისა; არა თქმოდეს უდრანთათვის პატრონის

არცა მინდვრისა მისისა,
არცა ფიჩხისა მისისა,
არცა ქვიშისა მისისა,
არცა შეშისა მისისა,
არცა ღალისა მისისა
არცა წყალისა წმინდისა;
არცა ბალახისა მისისა
არცა ტალახისა მიწისა,
არცა ჯაგებისა მისისა,
არცა ძაღლებისა მისისა
არცა ყოვლისა მისთვის
რაიცა იყოს ბატონისა შე[...]

ხალხნო და ჯამაათნო! აი ჭეშ[მარიტი სიტყ]ვა უფლისა, რომელსაც სავსები[თ ემორჩილე]ბი მეც, მონა მისი და ბატონი თ[ქვენი...] უმეცრებითა თვისითა დაარღვიეთ კა[ნონი უფ]ლისა და გასთელეთ ფეხთა ქვეშე თ[...] კუთხედი იგი დღევანდელი სამართლ[...] ცოდვათა ამა, სჯულისათა საზღაურს [...] ლენთ თვით უფალი ღმერთი ჩვენი ჟამსა მა[...] მეორეთ მოსვლისასა, ხოლო რაიცა შეეხე[ბა] ცოდვათა თქვენთა მიწიერთა, ჩემდამო მიმარ[თულთა] მომართულისა, ამისათვის მე მოგივლინ[ე] თქვენ ხალხნი ესე ბატონისა ფრიად ერთგუ[ლ]ნი რომელთა თვითნებობასა არა აქვს და[სა]სრულ.“

აქედან იწყება ხანა ეგზეკუციის ბატო[ნო]ბისა.

ეშმაკი.

მწერლობა.

—

ერთ ახალგაზრდა მწერალ[ს] განუზ[რა]ხავს „ვეფხვის ტყაოსნის“ მეგრულ ენა[ზე] გადათარგმნა.

—

ცნობილ დრამატურგს [..]ქრაძეს ქარ[თ]ული სცენისთვის დაუწერია სამოცდ[ა]ექვსი (66) ახალი დრამა ქ. თფილისი[ს] ცხოვრებიდან. დრამები ჩვეულ ებისამებ[რ] ნიჭით და უნარით არის დაწერილი. პი-ჩერკიც [ლ]ვენიერია.

—

ქართველი საზოგადოება ძლ[...] ხარა და თანაც ძლიერ დაა[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის“ (Baton) „ალსრულდას“ ალ-ლებამ. მიზეზი სიხარულისა წერილის რულება გახლდათ. ხოლო დალონებისა გრეფის საზომი.

—

თველ თავად-აზნაურობას განუზრა-მოსცეს ყოველდღიური უპარტიო რომლის რედაქტორობაც მიენ-შვიდობიან განახლების პარტიის წევრს კნ. ამირეჯიბს.

—

ჩვენს რედაქციას აცნობეს ფრიად სიმპატიური და მაშასადამე სასიამოვნო ამბავი. პატივცემულ პედაგოგს ი. გოგებაშვილს განუზრახავს: სპარსულ ქართველთა ბავშვებისათვის „დედა-ენის“ ფასს დაუკლოს. საქართველოს ქართველი ბავშვებიც მადლიერი იქნებიან ასეთი გულშემატკივრობისათვის.

—

ქართულ სახელმძღვანელოების გამომცემელ საზოგადოებას განუზრახავს გამოსცეს სახელმძღვანელოები დაბალ სკოლებისათვის შემდეგ საგნებზე: 1) როგორ მზადდება ქონისა და ნაცრისაგან სარეცხი საპონი—ივ. როსტომაშვილისა. 2) საშვალებანი ქათამთა და სხვათა ფრთოსანთა მკბენართა წინაალმდეგ მისამართი—ნ. მკურნალისა. 3) ზღარბი, როგორც ფაქტორი სამეურნეო განვითარებისა—ი. გოგებაშვილისა. 4) სამარხი კასების განვითარება—№-სა.

თფილისიდან ბათუმისაკენ.

რკინის გზაზე.

—

იგი და მოსვენება
ითხეთ რკინის გზაზე;
, კაცი, ყრმა, მოხუცი
მანეთს ასხედან თავზე!

აღარ არის გასაქანი
არც ვაგონში, არც ბაქანზე,
აღარც აქეთ, აღარც იქით,
აღარც ზევით, აღარც განზე.

არით შეხირხლულა
და მოაჯირი...
ჩაისუნთქე
გემსება პირი!..

ზაფხულობით, სახურავზე
რომ აცოცდე ის სჯობია,
რადგან შიგნით მოსვენება
არის სრული უტოპია.

ვერც გაბედავ ჩამოხტომას,
რომ სადგურზე გაიარო
უნდა სკამის სადარაჯოთ
იჯდე შიგ და ოფლი ღვარო.

სწორეთ დიდი საქმე გინდა,
სიცოცხლე რომ გაიმწარო:
მატარებლით თფილისიდან
ბათუმამდე გაიარო.

მუჯლუგუნის ნათავაზი
არც შეგრჩება გვერდი ცალი
და თუ ოდნავ მიგეძინა
ვაი თქვენი ჯიბის ბრალი.

ყალიონთა კვამლისაგან
აღარ არის სულთა ქშენა...
თუ ფილტვები არ გივარგა
ძნელი არის გადარჩენა.

ერთმანეთსა ასხდებიან
სამხედრო და ერის-კაცი,
მამრობითი, მდედრობითი,
ყმაწვილი და ბერიკაცი.

ეშმაკი.

ახალი ამბები.

—

თფილისის **საყასბოებიდან გვატყობინებენ**, რომ ამ უკანასკნელ ხანებში „**ალა**“ იშვიათად დადის თურმე საყასბოზე. რამდენიმე დღე სულ არ გამოჩენილა. მიზეზი? მიზეზი „ვირის და ნახშირის“ ამბავი ყოფილა.

—

იბეჭდება და ჩქარა გამოვა ფრიად მეცნიერული ნაწარმოები შემდეგი სათაურით: „ს.-დემოკრატები“. წიგნი შეიცავს 1250 გვერდს, თავიდან ბოლომდე სიმყრალე-სიბინძურით გაჟღენთილია და ღირს 7 კაპეიკი.

—

ქუთაისიდან გვწერენ: 2 ივლისს ქუთაისში საშინელი უბედურება დატრიალდა. დილით ძლიერი ქარი ამოვარდა და თფილისის ქუჩაზე მტვერმა 24 კაცი დაახრჩო. იმავე დღეს უწყლობის გამო რვა კაცი დაიხრჩო. ქალაქის თავი ძლიერ შეწუხებულია ამ ამბით. ქალაქის მამებს აზრათ აქვთ წინადადება მისცენ მცხოვრებლებს შეიძინონ ლაღიძის წყალი. მტვერის წინააღმდეგ ახალი სისტემის ,,ნამორდნიკების'' გამოწერას აპირებენ.

—

თფილისის მესტამბეებს ,,ლოკაუტის'' ქავილი ასტეხიათ და ამ დღეებში კრება გაუმართავთ, რომ რაიმე ზომები მიიღონ მუშების ასალაგმავათ*).

—

თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ამ დღეებში გარდაიცვალა გაზეთი ,,მასხარა'' და რედაქტორიც თან გადაიტანა. ობლათ დარჩენილი თანამშრომლები და სტამბის პატრონი დიდ მწუხარებაში არიან. ამ დღეებში აპირებენ დიდი ,,აღაპის'' გამართვას.

ჰრონიკა.

—

ასკანა. ოზურგეთის ადმინისტრაციამ აღმოაჩინა ელექტრომბეჭდავი სტამბა ს.-დ. ორგანიზაციისა. სტამბა ისეთი ზორბა აღმოჩნდა, რომ ორმა კაცმა ძლივს ჩაიტანა ოზურგეთში. ამ საქმისა გამო მობრძანებულ მაზრის უფროსს საზოგადოებამ თერთმეტი კაცი აჩუქა.

—

ბათუმი. ამიერ-კავკასიის რკინის გზის პირველი ნაწილის უფროსს ბ ნ ხუდზინსკის 550 კაცისაგან ხელმოწერილი სამადლობელი ადრესი მოუვიდა მიზეზი ასეთი პატივისცემისა ის გახლავთ, რომ ხუდზინსკიმ ისინი უსაქმოთ დასტოვა, ქუჩაში გამოყარა და ამით ერთობ გააძლიერა მისუსტებული უმუშევართა არმია. ახლო მომავალში ასეთი ადრესის მირთმევას უპირებენ სამსახურში დარჩენილებიც, რადგან 4 შპალის მაგივრათ, ახლა 9 შპალის გამოცვლა დააკისრა მათ და ამით ერთობ შეუმცირა შრომა. ანკი კეთილი საქმე სხვას ვის დაჰკარგვია?!

—

ოზურგეთი. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. ოზურგეთის ადმინისტრაციამ სავსებით ისარგებლა ამ ანდაზით. ნატანების გზაზე ძარცვა-გლეჯის თავიდან ასაშორებლათ ბრძანა: ოზურგეთიდან ვიდრე ნატანებამდე გზის ორივე მხარე ოცი საჟენის სივრცეზე გასწმინდონ ყოველივე ბუჩქისა და ჯიკვ-მაგვარ მცენარეთა არსებობისაგან. ამ გონიერი აზრის შემდეგ ადმინისტრაციამ შუბლზე თითი მიიდვა და დაიძახა: „ევრიკა!“

—

ქუთაისი. ახლო მომავალში მოსალოდნელია სრულიად იმერეთის ბოქაულთა და სტრაჟის ურიადნიკთა პირველი კრება. სხვათა შორის კრებას განზრახვა აქვს სთხოვოს კავკასიის საცენზურო კომიტეტს ცოტა იშვიათად დახუროს ადგილობრივი გაზეთები. ეს ლიბერალური მუხლი, როგორც გავიგეთ, იმიტომ შეუტანიათ დღიურ წესრიგში, რომ ეს ერთი ხანია მათ „**პატიოსან**“ მოქმედებაზე არავინ არაფერს სწერს და ამიტომ მთავრობაც წარჩინებას აღარ აძლევს.

—

თელავი. სასწაულთ-მაგვარი გადარჩენა ადგილობრივი მაზრის უფროსისა დღეს საერთო სიხარულს იწვევს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ოთახში მწოლიარე უფროსი გაზეთს კითხულობდა და თან პაპიროზს ეწეოდა, ჩვეულებისამებრ კითხვამ თვალი მოსჭრა და მიაძინა. გავარდნილმა პაპიროზმა ბალიში გამოსწვა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს პაპიროზი კი არა, ტყვია ყოფილიყო. მაზრის უფროსი უვნებლათ გადარჩა. დაშავდა მხოლოდ ბალიში.

—

ფოთი. საზაფხულოთ ფოთს მრავალი ხალხი მოაწყდა. ტარანაის ფასმა საგ[illegible] ძნობლათ აიწია. გურიიდან ტყემალიც[illegible] ბლომათ შემოდის.

—

ქვიშხეთი. ჩვენი მფარველი წმინდ[illegible] გიორგი სავანელი, სწორეთ შეყვარებ[illegible]ლია ქვიშხეთზე. ოჩემჩირეში რომ ჯაშუში[illegible] მოკლან, ის ქვიშხეთს შემოესევა და მისებურათ შეაწრიალ-შემოაწრიალებს. ჭკვიანი კაცი ამისთვის არის კარგი. მას ცხადია, დიდი მომავალი მოელის. ქართლის სოფლებში (და ზოგან ზემო იმერეთშიაც) დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ახლო მომავალში სავანელს ბოქაულის თანაშემწეობას მისცემენ. ამ საქმის შესახებ დიდი მოლაპარაკება აქვს თურმე ადგილობრივ მთავრობას (განსაკუთრებით კი ხაშურის ბოქაულს) შინაგან საქმეთა მინისტრთან. სწორეთ სასიქადულო მომავალია! ბოქაულის თანაშემწე!!

ვ რ ე ს ს ა.

—

გაზეთ „ისარი“-ს 139 და 140 №-ში (28—29 ივნისს) უზარმაზარი წერილი მოათავსა „კახეთიის“ საზოგადოების გამგეობამ [illegible] კომისიამ. გამგეობა-კომისია, რასაკვირველია, თავს მართლულობს, მუშებმა უფ[illegible]ლებების წართმევა და ჩვენი განადგურება მოინდომეს და იმიტომ დავითხოვეთო. თავის გულ-კეთილობის აღსანიშნავათ გამგეობა შემდეგს სწერს:

„ჩვენ მუშებს დიდი ხანია მინიჭებული ქონდათ ის რაც სხვებმა ბრძოლ[illegible] მოიპოვეს. მაგალითად „კახეთის“ საზ[illegible]დოების დაარსების დღიდან, ამ 12 წ[illegible] წინად, ჩვენს მუშებს ნება ქონდათ ერთ[illegible] თვით დაესვენათ ხოლმე და ჯამაგირიც ელოთ დასვენების დროს; უსასყიდლოთ ქონდათ ექიმობა და წამლობა და კვირა უქმე დღეებში სარგებლობდნენ თავისუფლებით და სხვა... **არ გეგონოთ ჩამოთვლილი უპირატესობანი სასტიკი ბრძოლით მოიპოვეს! რა სათქმელია, თხოვნა რა ა[illegible]ნითაც არ მიუმართავთ. ჩვენ [illegible]ვილით და ნებაყოფლობი[illegible]ეს უპირატესობანი“** (კურსივ[illegible]

„კახეთიის“ საზოგადო[illegible] მართალია! აბა ვინ პირშ[illegible] ჩვენს მემამულე თავად-ა[illegible] კეთილობა და ადამიანობ[illegible] ის არ იღწვის საზოგადო[illegible]ვის, რომ „კახეთიის“ საზო[illegible] გორც მემამულეთა ჯგუფ[illegible]ველათ, ნებაყოფლობით დაუთმო[illegible]

---

*) არ შეიძლება ითქვას ყველა მესტამბეებზე, რადგან ეს სენი პირველათ ვართანიანცს აუტყდა, რომელმაც გამართა თათბირი და მკურნალათ მოიწვია ყველა მესტამბეები; 20 მესტამბიდან თათბირს დაესწრო მხოლოთ შემდეგნი: თავართქილაძე, შარაძე, კაზლოვსკი, ლიბერმანი და კიკნაძე. ეს უკანასკნელი თურმე შეუმჩნევლათ ყურს უგდებდა კუთხიდან იმათ ლექციას, რომელმაც დაწვრილებით მიამბო.

ასოთ-ამწყობი.

...ი მუშებს, ისე, რომ თითქმის თხოვნი-...-კი არ უთხოვნიათ. აბა ბრძოლით ... რა მოუპოვებია? აგერ რუსეთის პრო-...რიატიც კი იბრძვის, მარა რა გაა-... რომ ჩუმათ ყოფილიყო და ...ბუნ-... არ დაეწყო რუსეთის ბიურო-...ა ამდენ ხანს ყველაფერს დაუთ-... განა რუსეთის ბიუროკრატია ,,კახეთის‘‘ საზოგადოებაზე ნაკლები გულკეთილია? ,,კახეთის‘‘ საზოგადოების მუშებს ბრძოლით არაფერი მოუპოვე-ბიათ, მართალია ამ ორი წლის წინათ გაიფიცენ და ბოიკოტი გამოუცხადეს, მარა აბა გაფიცვა და ბოიკოტი რა ბრძო-ლაა?! ეხლანდელი გაფიცვა—ბოიკოტიც არაფერია და მუშები ვერაფერს გაიტანენ. ხოლო თუ საზოგადოებამ ბოლოს ქედ მოიხარა მათ წინაშე და დააკმაყოფილა ეს უეჭველათ მათ გულკეთილობას უნდა მივაწეროთ და არა მუშების ბრძოლას.

ირეთელი

ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის.

ქრისტეს მათრახი.

ერთხელ, რაღაც უცაბედათ,
...რველ გილდიანებშია
...ილნიც მოჰყვენ მოვაჭრენი
...ევნო სიებშია.
...ჭდა წიგნაკებში
...ახელ-გვარებია...
...იქრეს: კომისიას
...ვეხობაც ჰყვარებია).
...ნეს სადაც ჯერ არს
...ითა სია სრული
...ც დაამტკიცა
...ოვა გულ-ნაკლული.
...დასწვდა წვრილი ხალხი
...-ვაჭრებთან მინადარი...
...თლაც, სად სოლოლა...ლი,
...ო მთაწმინდის ბინადარი?!)

მაგრამ ერთობ მოკლე დარჩა
დრო იმათი სიხარულის,
კომისიის არშიყობამ
წყალი შესვა ჩაილულის.
რა იხილეს წვრილთა სახე
აიცრუეს მყისვე გული
და სად გაჰქრა ვერ შევიტყვე
უწინდელი სიყვარული.
გამორეკეს უპრავიდან
ყველა მცირე და წვრილ-ფეხი,
საოცნებო კომისია
თავს დაატყდა, როგორც მეხი,
ქრისტეს მათრახს რომ იტყვიან
იყო მასზე ბევრათ მწარე
და ვაჭრებმაც დაინახეს
მისი მტერი და მოყვარე.

ეშმაკი.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

სამხრეთი საფრანგეთი. აჯანყებულ მეღვინეთაგან კახელ მევენახეთა საზოგადოებას „კახეთიას“ მოწოდება მო...და: დახმარება აღმოუჩინონ ფრანგ „მეგობრებს“ საერთო ბრძოლაში და შესწყვიტონ მუშაობა. მოწოდება მარსელენ ალბერის ხელით არის ნაწერი, რცხილაძისათვის საკუთარ ხელში გადასაცემათ.

ტოკიო. იაპონიის სამხედრო სამინისტროს გადაუწყვეტია გამოიწეროს რუსი ინსტრუქტორები ჯარის კაცთა გასაწვრთნელათ.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ შეიმუშავა ფრიად ლიბერალური შინაარსის კონსტიტუცია სპარსეთისათვის.

თბილისის საქონლის სადგური.

,,კურტანის'' წერილის გამო კომისიას ...ბირი ქონდა, დაადგინეს: რადგა- ...კურტანმა შეურაცყო პატიოსანი სახელი კომისიისა, ამისათვის ,,კურტანმა'' სამს წელიწადს კურტანი ატაროს, ეს განჩინება განსაჩივრებულ იქმნა ვისგანაც ჯერ არს სამედიატორო სასამართლოში, კურტანს დასახჩობათ მომზადება მიუსაჯეს.

— მეორე. —

„ნეტარ-ხსენებული“ „ზზიკის“ „მკბენარს“.

(წარსულიდან)

ერთ ჩარჩს მივენდვე მცირე ხნით
და მეუცხოვა ფრიად!..
გავკვირდი მისი გონება
ეგრე რამ გააწევდიადა.
მიკვირდა: კაცი **ამ ზომის**
ვითარ დაჩლუნგდა გონითა,
რომ ცბიორებდა მუდამ ჟამს
მთელი თავისი დონითა.
მაშინ და დღესაც ვერას გზით
ვერ შევეთვისე ამასა:
როგორ უძლებდა ეს ჩარჩი
ამდენ სირცხვილის ჭამასა.
წადმა უკუღმა ისროდა
„მკბენარი“ ჯაშუშობასა
და ამ ყაიდის „მოღვაწეს“
როგორ ვკადრებდი ძმობასა?
დავტოვე მისი დუქანი
გავედი ჩემთვის ველათა...
(მართალი გითხრათ ეს საქმე
არც მქონდა სადარდელათა)
ჩარჩი კი თავის არშინით
ზომავს ყოველგვარს საზომსა;
ფრიად ბინძურსა საქციელს
ჩაიდენს გინდა რა ზომსა.
აქაც ჩარჩული ხრიკებით
ოქრო დაიდგა თვალათა
და გამოვიდა კამათში
პორტმანის ანაბარათა.
„მაკარიოზის“ ავტორი
მაშ რიდას „იუმორია“,
თუ ორიოდე სიტყვაში
ათი არა სთქვა ჭორია?!
გინება — „კბენა'' ჰგონია
ცილის წამება — სატირა.
(ძნელია გონიერებამ
კაცი თუ სრულიად გასწირა!)
უმეცრებისა მწვერვალზე
მჯდომარე მედიდურათა
,,ზზიკის'' უკბილო, მკბენარი''
სხვას არას იღებს ყურათა.
ჰგონია...(რა ვქნა ეგონოს!)
რომ აზრით არის მძიმედა...
(ცოდვა მას, ვინც ეს რეგვენი
ამ რიგათ დაამძიმდა.)

ეშმაკი.

,,რასპრადაჟა''.

—

ქვეყანა გადაირია!!! შარშან წინ რომ ხალხს უცვლელ ჭეშმარიტებათ მიაჩნდა, დღეს ორმოცი რომ უწირო, ვეღარ დააჯერებ. დიახაც რომ განსაცვიფრებელი მოვლენაა! ახლა აღარავისა სჯერა, რომ ჩვენი მსხვილი მემამულე თავად აზნაურები პირდაპირ ადამის ჩამომავალნი არიან და რომ ის ვრცელი მინდვრები, დაბურული ჭალები და უღრანი ტყეები მათ პირდაპირ უზენაესმა ჩააბარა და უთხრა: „გამრავლდით, ნუ გაირჯებით და ეპატრონეთ ქვეყანასაო“.

ადამის დროიდან მოკიდებული ისინი პირნათლად ასრულებდენ ღვთის ბრძანებას: მრავლდებოდენ, არა გაირჯებოდენ და პატრონ-ბატონობდენ ქვეყანას. ყველაზე მეტათ ღვთის რჩეულმა თავადებმა ჩვენს სამშობლოში იმრავლეს და ამიტომ კურთხევა უფლისა მუდამ თან დასდევდა ჩვენ ქვეყანას. ეს კანონიერი მიმდინარეობა საქმისა ეშმაკს არ მოეწონა და განიზრახა ადამიანთა ერთმანეთში არევა. იმან დაუწყო რწმუნება გლეხებს, — თითქო ისინიც ღვთის გაჩენილნი იყვნენ, თითქო ეს მამული, რომლის ნასყიდობა თვით უფლისაგან აქვთ მიღებული თავადებს, დიახ, ეს მამული საყოველთაო და საჭიროა ახლანდელ პატრონებს ჩამოერთვასო. ხალხმა დაუჯერა ეშმაკს და ადგილი მოითხოვა. მაცდური ენა სად არ გასჭრის და აქაც ეშმაკმა თავისი გაიტანა. ძლიერ შეწუხდა უფლის ნაზარდი წარჩინებული წოდება! ახლანდელ მათ წარმომადგენლებს აბა საიდან ემახსოვრებათ როგორ დაულოცა მათ უფალმა ქვეყანა და ამიტომაც საკუთრების საბუთათ თავისი წინაპრების სამსახურს ასახელებდენ.

ეშმაკი დღიან ღამიანა განაგრძობდა თავის კადნიერ მოღვაწეობას და ბოლოს გლეხებს მოქმედებაც დააწყებია. შეშფოთებულ-შეშინებულმა მემამულეებმა მიმართეს უფალს ლოცვა-ვედრებით და შველა შესთხოვეს. ღმერთმა ისმინა მათი ვედრება და მოუვლინა მათ მამულებს სტრაჟები. თანაც ჩააგონა ყოვლად სახიერმა, რადგანაც სტრაჟების ერთგულებაზე დიდხანს იმედი არ შეიძლებოდა, მამულები მიეყიდათ გლეხებისათვის და ამით ეშმაკის მაცდურება დაეთრგუნათ.

ამისათვის ღვთის ბრძანებით დაარსებულ იქნა **საგლეხო ბანკი**. ეს დაწესებულება ძლიერ ხელოვნურად იყო მოწყობილი და ეშმაკის მოქმედებას ძლიერ აფერხებდა. საგლეხო ბანკი ყიდულობდა დიდ თავადების ვრცელ მამულებს და შემდეგ გლეხებს ურიგებდა. პირველ ხანს გლეხებმა „ზურგი აქციეს ეშმაკის მცნებას“ და მართლაც კანონიერ გზაზე დადგენ. საგლეხო ბანკიდან მამულებს იძენდენ და თავადების მიმართ გულის წყრომას იმშვიდებდენ.

მაგრამ როდის მოსვენება ეშმაკს თავისი დაეშალოს! იმან აუხსნა გლეხებს: საგლეხო ბანკი თქვენ გაყვლეფას ცდილობს; მართალია ახლა ნისიათ გითმობს მიწებს, ან სესხს გაძლევს მამულის შესაძენათ, მაგრამ იცოდე ამ ფულს ერთი ორათ გადაგახდევინებს და მიკვირს შენ საკუთარ მამულს რისთვის ყიდულობ ეგრე მამისისხლათო. გლეხები კვალათ აჯანყდენ და ვერას მამაოჩვენობით ისინი ვეღარ დააყენეს გონიერ გზაზე.

საგლეხო ბანკი ამავ დროს გამალებით ყიდულობდა თავადთა მამულებს. მას იმედი ჰქონდა დაბნეულ ცხოვართა ჭეშმარიტ გზაზე დაბრუნებისა. მაგრამ იმედი ამაო დარჩა, ხოლო თვით ბანკი მეტის მეტათ დაფეხმძიმდა. მან შეიძინა 10 **მილიონი** დესიატინა მამული და მყიდველი არა სჩანს არცა ერთი ცალი. ბანკი ფეხზე ძლივს-ღა დადის და ამისათვის ებრძანა სამი თვის (ზაფხულის) განმავლობაში უეჭველათ მოლოგინდეს. დაწესდა მრავალთ-უმრავლესი კომისიები, რომლებმაც უნდა მოახდინონ

უჩვეულო რასპრადაჟა

თავადიშვილების მამულებისა.

ასე არია და აწეწა ეშმაკმა იმათი ცხოვრება, რომლებსაც ღმერთმა უანდერძა ქვეყანა და უთხრა: „გამრავლდით, არ გაისარჯოთ და ფლობდეთ ქვეყანასაო“. მემამულეთა მიწები დღეს აღარავის არ მიაჩნია ღვთის ნაანდერძევათ! სწორეთ რომ აირია მთელი ქვეყანა!!

№ ...

მოციქულთა სწორი „წმინდა“ მიკიტანი ილია კირთაძე.

ბედნიერი ქვეყანაა ჩვენი ოდიში! ხალხის შეგნება უმაღლეს წერტილამდეა მისული და მისი გამოფხიზლებული გონება ამ ქვეყნათ ვეღარ თავსდება, ის მიისწრაფის ზეცისაკენ და აი ზეციდან მოევლინა მას მრავალგზის გაკოტრებული მიკიტანწმინდანი ილიკო კირთაძე. დიახ, ბედნიერი ქვეყანაა ჩვენი სამეგრელო, და ღმერთსაც ხომ ბედნიერი უფრო უყვარს.

წმინდა მიკიტანს, ილიკო კირთაძეს საოცნებო მომავალთან ერთად წარსულიც ულრიალ სახელოვანი აქვს და არც თუ გასაკვირია რისთვის სცემს მას თაყვანს ჩვენი ხალხის „შეგნებული“ ნაწილი. ილიკო კირთაძე სოფ. ხუნწის მემამულეა ამ რედაქციის დროს სამეგრელოს წმინდანმა მოსთხოვა მთელი ზარალი მამულებისა თავისუფლების დროს განაწევი და ოდენაც უარი მიიღო, მსწრაფლ მოიყვანა მონიავას დახმარებით სტრაჟნიკები და სოფელს შესაფერი დღე დააყენა. მანინ არავინ არ იცოდა, თუ ეს მოძალადე მემამულე ბოლოს ღვთისაგან არჩეულ წმინდანთ იქცეოდა. დღეს მთელმა არეალმა იცის, რომ ილია კირთაძე წმინდანია და ბუზივით ეხვევა მას. ზოგიერთები წმინდა კირთაძის ამგვარ მოქმედებას შარლატანობას უძახიან, მაგრამ „შეგნებული“ ეს არაფრად აბრკოლებს და ილია კირთაძესას მრავალი შესაწირავი მოაქვთ. საყურადღებოა წმინდა მიკიტანის ოინობა. დღისით ის თავს კარგათ გრძნობს ხშირად სასამართლოშიაც დადის საქმეების საწარმოებლათ, მაგრამ ღამ-ღამოთ უარავათ გდია და ხალხის წინაშე რაიაცას ბოდავს. შესაწირავათ მოაქვთ ერთ ეკლესიის სანთელი და სეფისკვერები, მაგრამ ეს დაწესებული არ არის და ვიცი რამდენი უნდა იმდენს შესწირავს. თუ ეს წავიდა წმინდა მოციქული კარგ ბლომა ფულს მოაგროვებს და ისევ საკიკიტნოს გახსნის ფოთში ან სოხუმში, სადაც გაკოტრებამდე ვაჭრობდა.

ბედნიერი ქვეყანაა ჩვენი სამეგრელო და აკი ღმერთმაც მოუვლინა მათ ეს წმინდა მიკიტანი.

ოდიშელი.

უცხო სიტყვების ახსნა.

ანსტია.—სიზმარი, რომელსაც ხშირათ ხედავს რუსეთის მოქალაქე.

ბგრარული საკითხი—გლეხების მიწებით დაკმაყოფილება სასაფლაოზე გადასახლებით.

ეკობია—გამოხოკორებული თავი.

„Baton“-ი—უყმო ბატონი.

ბურჯი—სამშობლოს „ბარჯგი“ (თავადაზნაურობა და მღვდელ-მონაზონ-ბერები).

ბიუჯეტი—ხალხის ფულების უკანტროლოთ ფლანგვა.

ლიკვი—პოლიციური მასაჟი.

ომბა—ფულის სახეთქი მანქანა, რომელიც ამ ბოლო დროს ძლიერ გაიაფდა.

ურია—გლეხების ზურგზე სეირნობა; ეს ლ-კოწო-ნიკოკის საბუდარი.

გვრემა—რუსეთის მოქალაქის პოლიტიკური მოცლის ტკივილი.

გრინგმუტი—პირიდან სასაქმებელი წამალი.

დუმა—ხაფანგი ხალხის წარმომადგენლების დასაჭერათ.

დაჭერა—შავი პირი, რომელიც ფრიად გავრცელებულია რუსეთში.

დაბეზღება—ოზურგეთელ ვაჭრების ლოზუნგი.

ერთობა—„ძველი დროის“ მოგონება.

ექსპროპრიაცია—პარტიული მოლვაწეობა.

ვირი — ქალაქის თივით გასუქებული „აღა“-ს სახედარი.

ვექსილი—ფასდაკარგული ქაღალდი, რომელსაც ევროპის ბანკირები აღარ ღებულობენ.

ვასილ—მანქანა, რომლითაც დამზადდა „შესანიშნავი“ ადრესი და „ველურ სასამართლოების“ დატოვების შესახებ თხოვნა. აგრეთვე ნიშნავს კუჭის გასაწმენდ წამალს.

ირეთელი.

(შემდეგი იქნება)

სცენა საიქიოს.

საიქიოს მიმავალთ გზაში შეხვდებათ კარის კაცი, რომელიც უდებს ზოგს სამოთხის და ზოგს ჯოჯოხეთის კარებს.

მოდის ფრანგი.

კარის კაცი: საიდან მოდიხარ, ვინ ხარ?

ფრანგი: საფრანგეთიდან, ფრანგი ვარ.

კარის კაცი: წადი ჯოჯოხეთში!

მოდის ინგლისელი.

კარის კაცი: ვინახარ, საიდან?

ინგლისელი: ინგლისიდან.

კარის კაცი: წადი შენც ჯოჯოხეთში.

მოდის რუსი.

კარის კაცი: საიდან მოდიხარ, ვინა ხარ?

რუსი: რუსეთიდან, რუსი ვარ.

კარის კაცი: შენ ჯოჯოხეთში უკვე ყოფილხარ, წადი ეხლა სამოთხეში.

ი.

განცხადებები:

გამოჩენილი კბილის ექიმი ვაძრობთ კბილებს ახალ გამოგონილი მანქანით. კბილის ამოძრობის დროს არავითარ ტკივილს არ გრძნობს ავათმყოფი, რადგან საავათმყოფოში მიყვანამდე უგძნობლათ ხდიან. იკითხეთ რუსეთის ყველა ქალაქების საპოლიციო ნაწილებში. ბოქაულ გოროდოვებთან.

კვირას 22 ივლისს, ვერის დალმართზე გაიმართება ტრამვაის **ვაგონების დოღი.** მონაწილეობას ღებულობენ გამოჩენილი ვატმანები. უბედურების თავიდან ასაცილებლათ კონდუქტორები თოკით იქნებიან მიკრული ვაგონის ბოძებზე.

რედაქტორ-გამომცემელი

ს. კეკელიძე.

ჟურნალი „შუამავალი“ იყიდება:

ქუთაისში—ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“ ის. კვიკარიძესთან.

ბათუმში—მიხ. კალანდაძესთან.

ფოთში—ლ. ტულუშთან

სამტრედიაში – ყ. კობალეიშვილთან.

გორში—არჩუაძესთან

ჭიათურაში—ვლ. მოსეშვილთან.

მიხაილოვში—ეგ. შარაძესთან.

ლანჩხუთში—შ. ცინცაძესთან.

სილნაღში—უზუნაშვილთან

ჩოხატაურში—ნ. მეგრელიშვილთან.

ხიდისთავში—ნ. კალანდაძესთან

ოზურგეთში—ვ. ღლონტთან.

ყვირილაში– ა. გაჩეჩილაძესთან.

რედაქცია სთხოვს აგენტებს, ყოველ კვირაში გაასწორონ ანგარიში.

აგენტების საყურადღებოთ.

აგენტებმა ფული შემდეგი ადრესით გამოგზავნონ: Тифлисъ, типографія Т-ва „Трудъ“, Теофилу (онъ-же Теону) Ерастовичу Болквадзе. რედაქციის ადრესზე ნუგამოგზავნიან.

ელექტრომბეჭდავი

ამხანაგობა

„შრომა“

აცხადებს, რომ მან მიიღო გენერალ-გუბერნატორისაგან ნებ-რთვა **ბეჭდოს გაზეთები** და **ბროშიურები**, რომელიც აკრძალული ჰქონდა. სტამბა წინანდებურათ შეუდგა მოქმედებას და მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ყოველნაირი მასალების დასაბეჭდათ. საქმეს ასრულებს სუფთად და სწრაფად დაკლებულ ფასებში.

ამასთანავე ამხანაგობამ იკისრა 1908 წლის ქართული სახალხო

კედლის კალენდრის

გამოცემა და ამ მოკლე ხანში შეუდგება ბეჭდვას.

კალენდარი საუცხოოდ შედგენილია: შიგ მოთავსებული იქნება ყოველივე თანამედროვე შესანიშნავი ფაქტები და დაიბეჭდება ორის კრასკით.

გამოწერა შეიძლება ამ თავიდან შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія Т-ва „Трудъ“ Михаиловская № 65. ვინც ნაღდ ფულზე ან ფას დადებით გამოიწერს არა ნაკლებ ასი ცალისა და წინდაწინ გამოგზავნის ბეს, დაეთმობა 15%. საზოგადოთ პარტიით მყიდველებს ეთმობათ 10%.